№ 50. 8 მარტი, პეირა. 1866 1881 8 მარტი, პეირა. № 50.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

რედაქცია

გალავნის ბრიუსოვის ქუჩაზე. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“ „ეგვრეის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში“ „ეგვრეის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ „Иверіи“.

„დროება“-„ეგვრეის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“ და „ეგვრეა“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ეგვრეა“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ... ...

ციელებას ახლაც კი ცოტ-ცოტათი აპარებენ ჩვენ სკოლებსა. Ორი ფაქტი ამაში ცხადად გვარწმუნებს.

Ვასრულს ზაფხულში სოფელს საგარეჯოში გაიხსნა სახალხო სკოლაში სპეციალური კლასი მეურნეობის შესწავლისათვის. მასწავლებელათ რუსეთიდგან გამოიწერეს იმისთანა პირი, რომელმაც ერთი სიტყვაც არ იცოდა ქართული. Ამ პირმა ნახევარს წელიწადს დაჰყო სოფელში, შემდეგ ჩამოვიდა Თფილისში და მოახსენა თავის მთავრობასა: ჩემი სამსახური სრულიად ფუჭათ მიდისო, სოფელს ჩემი არაფერი ეყურება, მე სოფლისა არაფერი მესმისო: სწავლებაც საგნისა უხეიროთ გაუგებრათ მიდის, რადგანაც მოწაფეებს რუსული ენიდგან ბევრი რამ სრულიად არ ეყურებათო და მათ დედა-ენაზედ ახსნა არ შემიძლიანო, ამიტომ ვალად ვრაცხ თავი დავანებო ახლანდელს ჩემს ადგილსა, სადაც თითქმის ტყვილ-უბრალოთ ვიღებ ჯამაგირსაო. Უარი არ ეთქმევოდა, აიღეს და დაითხოვეს. Მაგრამ ვინ გაამწესეს მის მაგივრად? Ისევ ისეთივე პირი, რომელსაც ქართულის ცოდნა სრულიად არ აქვს და ისიც როდისა? Როდესაც ქართველი სპეციალისტები, რუსეთში კურს შესრულებულნი, მეურნეობაში დახელოვნებულნი, ადგილებს ვერსად შოულობენ და არ იციან, სად და როგორ გამოიყენონ თავისი ცოდნა.

Მეორე შესანიშნავი ფაქტი გახლავთ ბატ. მარსოვის გადაყვანა ქუთაისიდგან და ბ. �ლოვის დანიშვნა მის მაგიერ. Პირველმა ხელ მიწევნით იცოდა ქართული ენა, მეორეს ინჩიც არ ესმის. Როგორ უნდა უგდოს ხოლმე ყური სწავლებას ქართულს ენაზედ, როგორ უნდა უხელმძღვანელოს სწავლობის ოსტატობაში, როგორ უნდა გამოსცადოს ხოლმე მოსწავლეები თვით ქართული ენის ცოდნაში და როგორ უნდა ელაპარაკოს ხალხსა, რომელთანაც ხშირად მოუა საქმის დაჭერა? Რა საკვირველია უტყვი პედაღოღის შუამავლობით, სხვა გზა არ არის. Ბატ. ررლოვის დანიშვნა რომ მომხდარიყო იმის გამო, რომ ვერ ეშოვნათ ქართული ენის მცოდნე საიმედო პედაღოღებში, მაშინ ამ ფაქტს სხვა მნიშვნელობა ექნებოდა. Მაგრამ როდესაც ქართულად მეტყველს დირექტორს სცელიან საქართველოში და მის მაგიერ ნიშნავენ ხალხისათვის მუნჯს უფროსსა, ამას სრულიად სხვა სუნი სდის და მეტად ცუდს რასმეს მოასწავებს.

Მეორედ გასაოცარი ის გახლავთ, რომ პლანის მანქანებით ყველაფრის სწავლა ჩვენ სასოფლო სკოლაში ისეთი შიკრიკული, საარაკო სისწრაფით მისრიალებს, რომ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ჩვენმა ბავშვებმა ისე რომ ირბინონ, შესანიშნავი მსწავლულები უნდა შეიქმნან. Დავიწყოთ თუნდა სამშობლო ენიდგან.

Პირველსავე წელიწადს სოფლის ბალანა გვარიანს წერა-კითხვას სწავლობს, მეორე წელიწადს ისე გამართულია და ისე განვითარებული, რომ **სრულიად თავისუფლად** ჰკითხულობს **ლიტერატურულ თხზულებათა** და ზეპირათაც სწავლობს მათ. მესამე წელიწადში ისეა დახელოვნებული ქართულს ენაში, რომ ცალკე გაკვეთილები საჭირო აღარა ჩნდება და ისე აქვს ცოდნის მოყვარეობა ანთებული, რომ სკოლის გარეთ ბავშვი კითხულობს სხვა-და-სხვა თხზულებათა; მაგრამ რაღაც მანქანებით ქართული წიგნი ავიწყდება და **совершенно свободно**-ს მაგიერ მხოლოდ **свободно**-თ კითხულობს მესამე წლის ბოლოს. Ამისთანავე საკვირველი სისწრაფით მისრიალებს რუსული ენის და რუსული წერა-კითხვის შეთვისება ბავშვებისაგან. Წლი-ნახევრის განმავლობაში შვიდი-რვა წლის სოფლელი ბავშვი, რომელსაც სკოლის გარეთ ქართული ენის მეტი არა ესმის-რა, ისე სწავლობს რუსულს ენასა, (რომელიც გენიოსმა ბოკლმა ხუთ წელიწადს ძლივს დასძლია) რომ მესამე წელიწადს სწავლას ამ ენაზედ ისმენს, სხვა-და-სხვა რუსულს წიგნებს თავისუფლად კითხულობს და თავის ჰაზრებს თავისუფლად გამოსთქვაეს როგორც სიტყვით, ისე წერით.

Არითმეტიკის შესახებ ორს ენას ციღლობა მოსელიათ; ბავრამ პლანის ავტორი ხერხიანათ მოქცეული: წინეთ არითმეტიკა ქართული ენისათვის დაუსაკუთრებია, მაგრამ რუსულს ენას რომ პაჭუა ცხვირი ძირს დაუშვია, უთქვამს: აჰა, შენითაც ისწავლებოდეს ეს საგანიო. Ენის ერთმანეთთან ცილობამ არითმეტიკის სწავლას უნდა დაუშალოს, მაგრამ ისიც დრიგანდრიგანით მირბის: სამს წელიწადს სოფლელი ბალღები ათავებენ მთელს ელემენტარულს კურსსა ორს ენაზედ, როდესაც რომ სამოქალაქო სკოლებში ოთხ-ხუთ წელიწადს ძლივს ასწრობენ ერთს ენაზედ.

Სალმრთო რჯულიც რკინის გზის სისწრაფით მიდრიკანებს: სამს წელიწადს ბავშვებმა კიდევ ორ ენაზედ უნდა გაიტენონ ტვინი: მთელი სალმრთო ისტორიით, ლოცვებით, მათი ახსნით, მოკლე კათეხიზმოთი და წირვა-ლოცვის ახსნით.

მართალია, პლანში სწერია, რომ ეს უკანასკნელი საგანი მესამე წელიწადს ქართულად უნდა ისწავლებოდესო; მაგრამ ამასთან უხმარიათ ხერხი, რომ ეს ქაღალდზედ დარჩეს და საქმით კი აქაც რუსული ენა ჩასჩხირონ და ამითი ქართული ენა და საგნის სწავლა დაამბრკოლონ. ბ. Დიდებულიძისათვის გადაუთარგმნინებიათ სოკოლოვის მოკლე კატეხიზმო და დაბეჭდამდისვე უკითხავთ დირექტორებისათვის, რავდენს ეგზემპლიარს აყიდვინებთ თქვენს ქვეშევრდომს სკოლებსაო. მარსოვს ამ გვარი ორ-ენოვანი წიგნი, ორჯელ ძვირათ გასასყიდი, როგორც ეტყობა უსარგებლოდ ჩაუთვლია და პასუხი არ მიუცია. Სტრელეცკის კი დაუზარებლივ შეუტყობინებია, რომ პირველვე ხანში სამას ეგზემპლიარს გავასალებინებ ჩემს სკოლებშიაო.

Ესეთი სწრაფის წარმატებით მიმდინარეობს საქმე კანცელარიის ნაწარმოების ფურცლებზედ. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ყველაფერი დარჩება ქაღალდზედ, რომელზედაც ბუგიძლიანთ ყველ-გვარი ანბავი კუშმარიტ ამბავათ გამოიყვანოთ. Ნამდვილად კი სხვა ამბავი მოხდება, სხვა გვარ შედეგს ვნახავთ და სხვა ხილს ვიგემებთ. Ჩვენი სახალხო სკოლა, ბ. Იანოვსკის პლანზედ გამართული, ... დაუშლის ქართული წიგნის იმდენად შესწავლას, რომ ბავშვებმა ცხოვრებაში გამოიყენონ, საგნებსაც არ შეათვისებინებს და, რასაკვირველია, ვერც რუსულის ენის ცოდნას მიანიჭებს. . . . . Ეს შედეგი აუცილებელი იქნებოდა მაშინაც კი, ჩვენი სახალხო სკოლები რომ კეთილ-განწყობილს მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. მით უმეტესად აუცილებელია მათი უნაყოფობა და მავნებლობა ახლა, როდესაც ჩვენში სკოლა ახალი ნერგია, წელში გაუმართელი, ფესვებ-გაუდგმელი და სრულიად მოკლებული მძიმე ტვირთის საზიდავს ძალასა,—როდესაც მას ჰყავს მოუმზადებელი მასწავლებლები, რომელთაც თვითონაც ხეირიანათ არ იციან რუსული ენა, როდესაც მინამ სამასწავლო სემინარიები მიაშველებდნენ ყველა სკოლას სპეციალურად მომზადებულს მასწავლებელსა უკანასკნელი ოცი წელიწადი მაინც გაიელის, როდესაც სკოლები მოკლებულნი არიან მოხერხებულს სადგომებსა და საჭირო ნივთეულობასა, როდესაც ჩვენი ჯერეთ ხამი გლეხობა ისე გაუგებრად და მოუაზრებლად ექცევა სკოლის საქმესა, რომ შვილები შეჰყავს სკოლაში არა ერთს დროსა, არამედ სხვა-და-სხვასა, რის ვამოისოთ თითო სკოლაში ექვსი-შვიდი განყოფილება ჩნდება და ისე ხშირად არა გზავნის თავის შვილებს სკოლებში, რომ უბეჯითესი მოწაფეები მესამედზედ მაინც აკლდებიან სკოლასა, ასე რომ სამოსწავლო წელიწადი, სულ რომ ბევრი ესთქვათ, გრძელდება ექვს თვესა.

Თვითონ ბატონი Იანოვსკის პლანში ერთი ადგილი მოიპოვება, რომლითაც იგი აშკარად აღიარებს ამ

მაგრამ მაინც სხვა ენაზედ „ჩიქორთულობს“ და არ კადრულობს სამშობლო ენას. Რაო და სხვები მომიწონებენო. Ოლ-შვილი გადაურჯულებია: უსწავლებია ცუნდრუკობა და, „პრიშტი-პრუშტები“ და ისინიც აკულინას მჭევრ-მეტყველებითა და ტატიანას დარბაისლობით ჰკიცხვენ იმ ენას, რომელზედაც ღაღადებდენ: Თამარ, ქეთევან და ნინო!...

Დეე, თვითონ, თავის ეიწრო წრეში ის ჩაიდინოს, რაც უნდა, მაგრამ საზოგადო, საქვეყნო საქმეში რაღათ ერევა?...

Ამ დღეებში, რომ მოძღვართ უხუცესთან მისულა და უთქვამს: „ქვეყნის სურვილია, რომ ჩემს კვალზედ იაროს, და ეს მიიღე ყურადღებაშიო,“ ვინ გამოიწვია? ვინ დააყენა ვექილათ? მაგან რა იცის, რა ეჭირვება ჩვენს ქვეყანას? მგ რას იცნობს ხალხს? მგ აღიარებს ხალხს მხოლოდ მსუქან საკლავად, რომელიც მაგან უნდა დაჰკლას გაფცქვნას, მოხარშოს და მერე მისი მბილი სთალოს და ძვალი ხრას. Ბანა მაგას სიტყვა დაეჯერება? Ბანა ეგ სანდოა? Მაგას სიმართლით დედის ძუძუც არ მოუწოვია! Უდროოთ სძვრია მუცელში და ანგარიში დაუკარგვინებია დედისათვის: და მაშასადამე თუ კი ის იმ თავით მოუტყუებია, ამ თავით აბა ვისლა გაიტანს?!

Მაგისი ჭკუა—გაიძვერობაა!. ხერხი—Იუდობა! Სწავლა-მეცნიერება—სრული უმეცრება! Აბა თუ ერთი რამ დასწეროს ისე, რომ „ტაკ-კაკითა“ და „გსლედსტვიე ბრედბისანიით“ არ დაიწყოს? Მაგის პატიოსნება—ფლავია და კახური ღვინოა! ხან-და-ხან მწვადებსაც კი აღიარებს ხოლმე.

Პატიოსან კაცებს ერიდება: მათ რომ შეხვდება, გვერდს უვლის... Ასე იცის გველმაც, როცა გოგორდის სუნი ეცემა ხოლმე.

„—ეჰ, რა ანბავია, მოგცლია და მაგ ხალხზედ გვესაუბრებიო? ეგებო, მკითხოს ვინმემ, განა ღირს მაგაზედ საუბარიო?“ Და აი რას მოგახსენებთ: მაგათთვის არა ღირს!.. ნათქვამია: ძაღლის კუდი კალაპოტით არ გასწორდებაო!..

Დიახ... ძაღლის სწორი კუდს არ შევხვედრივართ, მაგრამ მაგიერათ წაჭრილები კი გვინახავს. —

Არ შეიძლება არ მოვიგონოთ აქ ერთი სახალხო ლექსი, ამ გვარი შემთხვევისათვის ნათქვამი:

„Არ გათეთრდება ყორანი,
ბევრიც რომ ხეხო ქვიშითა!—
მტერი არ შეგვიშინდება;
ვაგლახითა და ვიშითა“!

—

მტრებს მივაგებოთ ფარ-ხმალი,
Ყორანს შევსტყოცოთ ისარი,—
სხვა შრომა ტყვილათ ჩაივლის:
მათი წამალი ის არი.

—

Ყორნის ნაღველი ხალხისგან
წამლათ არს დასახულიო
და თუ ის ხელში არ იგდო,
ვით გაიკურნოს წყლულიო?

—

მწარეს რომ მწარე მოხვდება,
�რივე გალაყდებიან...
და სადაც ეკალი იყო
Იქ ვარდნი აჰყვავდებიან!

—

„Არ გათეთრდება ყორანი,
ბევრიც რომ ხეხო ქვიშითა!—
მტერი არ შეგვიშინდება
ვაგლახითა და ვიშითა!“

ბაკაკი

უნუგეშო და სამწუხარო მომავალს ჩვენი სახალხო სკოლისასა. ეს ადგილი ისეთი შესანიშნავი რამ არის, რომ შეადგენს წიგნაკის ბრილიანტსა...

მკითხველს კარგად ეხსომება, რომ ჩვენი გაზეთი ამტკიცებდა: სასოფლო ერთ-კლასიანმა სკოლამ, რომელშიაც ბავშვები რჩებიან მხოლოდ სამს წელიწადსა, თავისი პირდაპირი დანიშნულება რომ რიგიანად შეასრულოს, ისიც კარგი ქება იქნებაო, და თუ სხვა რაიმე ტვირთს აჭკიდებთ, მისი უნაყოფობა ყოველის მხრივ აუცილებელი შეიქნებაო. ბატონი მზრუნველი კი ამტკიცებდა, რომ აქაური სასოფლო ერთკლასიანი სკოლა სამის წლის განმავლობაში სამს ნაირს ვალდებულობას უნდა გაუძღვესო: პირველად კარგათ უნდა ასწავლოს სამშობლო წერა-კითხვა და საგნები ელემენტრული კურსისა, მეორედ რუსული ენა და წერა-კითხვა ზედ მიწევნით შეათვისებინოს და მესამე მოსამზადებელი კლასის დანიშნულება აასრულოსო. ეხლაც იმასვე ამტკიცებს ბ. იანოვსკი თავის წიგნაკის თავში და შუა წელში; მაგრამ ბოლოში კი ნარტომი შეშლია და ისეთი რამე უნებლიეთ, მაგრამ გულწრფელად წამოსცდენია. რაიცა მის პლანს პირ-და-პირ, არღვევს, ფუშავს და ჩვენი ჰაზრის საფუძვლიანობას ემოწმება—მოისმინეთ: **Опытъ показалъ, что дѣти въ 3 и даже въ 4 года едва въ состояніи усвоить хорошо и предметы, требуемые положеніемъ 24 мая 1874 года о начальныхъ училищахъ т. е. чтеніе, письмо, первыя четыре дѣйствія ариѳметики и Законъ Божій. Но въ здѣшнихъ школахъ, кромѣ названныхъ предметовъ, прибавляется и русскій языкъ „(стр. 14)“ *).**

ბადეგრძელოთ უფალმან! ჩვენც მეტს კი არას ფერს არა ვამბობდით და არც ახლა ვამბობთ. მაგრამ თქვენ რა გვარი დასკვნა გამოგყავთ აქედგანა? რადგანაც რუსული სახალხო სკოლა თავის მარტივს და სუმბუქს დანიშნულებას სამს-ოთხ წელიწადს ვერ ასრულებსო, ამიტომ... აქაურმა სკოლამ სამს წელიწადს უნდა აასრულოს ორჯელ უფრო რთული და მძიმე დანიშნულებაო. . . . .

ზემოხსენებული რუსული სიტყვებიდგან პირდაპირ გამოდის მხოლოდ ერთად ერთი დასკვნა, წინაალმდეგი მთელი პლანისა: . . . . . სკოლის კურსი სამის წლის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს. მესამე დასკვნა ყოველად შეუძლებელია. რომელს სოფელშიაც ორ-კლასიანი სკოლის დაარსება ძნელია, იქ რუსული ენა უნდა გამოკლებული იქმნას, სადაც ორ-კლასიანი სკოლის გამართვა ხუთი-ექვსი წლის კურსით მოსახერხებელია, მხოლოდ იქ უნდა მიეცეს ჯეროვანი ადგილი რუსულს ენასა და აქ მისი სწავლება არც სამშობლო ენას დაუშლის, არც საგნების შეთვისებისა, არც ბავშვების გონების გახსნასა და თვითონაც იქნება სასარგებლო და ნაყოფიერი. მაგრამ ბატონი იანოვსკი ბრძანებს: კანონი მოითხოვსო, რომ ყოველ სკოლაში რუსული ენა მიუცილებლად უნდა ისწავლებოდესო.

ორი კითხვით გავაქარწყლებთ ამ საბუთსა. რავდენი წელიწადია, რაც ეს კანონი გამოვიდა? ცამეტი (1868 წ). რავდენი სახალხო სკოლა არსებობს ეხლა კავკასიაში სომეხთა, თათართა და მთიულთა შორის, სადაც რუსული ენის სახსენებელიც არ არის? ჩავხედოთ თვით ბ. მზრუნველის 1879 წლის ანგარიშში და იქ ამოვიკითხავთ ამის პასუხად შემდეგ ფაქტსა: 2,515 სკოლების შორის მხოლოდ 308 სკოლა მოიპოება, სადაც რუსულს ენას ასწავლიან, დანარჩენი 2207 სკოლიდგან ეს ენა სრულად გამოკლებულია.

თუ ცამეტი წლის წინეთ გამოცემული კანონი სოფლის სკოლებსაც შეეხებოდა, რათ მოხდა, რომ ახლაც კი მხოლოდ ერთი მე-ოთხმოცედი ნაწილი ამ სკოლებისა იპყრობს რუსულს ენასა და ყველა სხვა სკოლებში კი მისი სახსენებელიც არსად არის; რატომ ან არ შეატავინეს ამ სკოლების კურსში რუსული ენა, და ან არ დააკეტინეს ისინი, როგორც კანონის წინაალმდეგნი. ცხადია, რომ ბატონს იანოვსკის მოსელამდის აქაური მთავრობა მოხსენებულს კანონის ვალდებულობას და ძალას არ აერცელებდა სასოფლო სკოლებზედ.

*) გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ბავშვები სამს-ოთხს წელიწადს ძლივს ითვისებენ გვარიანად იმ საგნებსაც, რომელნიც მოითხოვებიან 24 მაისის 1874 წლის დებულობით დასაწყის სასწავლებლებზედ, ესე იგი კითხვასა, წერასა, ოთხს მოქმედებას არითმეტიკისას და საღმთო სჯულსა; მაგრამ აქაურ სკოლებში ამ საგნების გარდა, ემატება იდევ რუსული ენა.

ახალი ამბები.

ქუთათურებს ცოტა უსიამოვნო ამბავი უნდა ვაცნობოთ დღეს; მაგიერად ხონელებს გავახარებთ, ამათ აუსრულდათ თავიანთ გულის-წადილი: კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ თ. ლევან მელიქოვმა დაამტკიცა და ხელი მოაწერა გუშინ, 6 მარტს, კავკასიის სამასწავლებლო მზრუნველისაგან წარდგენილ ქალალდს, რომ საოსტატო სემინარია დაბა ხონში გაიხსნასო.

გუშინ-წინ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ქუთაისიდამ მიღებული ტელეგრამმა, ქალაქის რჩევამ გარდასწყვიტაო, რომ დიდის მთავრის ნამესტნიკის წინაშე იშუამდგომლოსო, რომ სემინარია ქუთაისში გახსნანო. ამ ორის თვის წინათ გაზ. „კავკაზში“ იყო ქუთ. რჩევის ერთი ამგვარი გარდაწყვეტილება მოყვანილი, დეპუტატებიც იყვენენ დასახლებულნი და რასაც ჰპირდებოდა ქალაქი, ისიც ჩამოთვლილი იყო. ერთის სიტყვით, გარდაწყვეტილება, დაპირება და ფაცა-ფუცი ქუთაისის მხრით ბევრი იყო, მაგრამ საქმე ნამდვილი საქმე კი ცოტა; დეპუტაციის გამოგზავნაც კი ვერ მოახერხეს დროზე: ხონელები კი თავიანთებურად გაძერა-გამოძერენ და საქმე გაირიგეს.

* * *

ამ პარასკევის სხდომა ჩვენის ქალაქის რჩევისა არაფრათ არ იყო შესანიშნავი.

უველაზე პირველად ჩამოვარდა ბაასი ბ. ლუბერნატორის წინადადებაზედ, რომ ქალაქის კამერალიურს აღწერილობაში ქალაქმაც მიიღოს ფულით მონაწილეობა.

რჩევამ გარდაწყვიტა, რომ კანონით ქალაქი ვალდებული არ არის ამ ხარჯში მონაწილეობა მიიღოს და თავის ნებით ვერ იღებს ამას, რადგან იმდენი შეძლება არა აქვს.

რჩევამ ზანიხილა აივაზოვის საჩივარი ქალაქის ბამგეობაზედ, საპიორის ქუჩიდამ (ქლიუჩაროვის სახლიდამ) მტკვრის პირამდინ გზის გაყვანის ნებას არ მაძლევესო.

ბარდასწყვიტეს: უფლება მიეცეს აივაზოვს, თუ ჰსურს, თავიანთ თავის ხარჯით გააკეთოს ეს გზა, ქალაქი კი ამ ხარჯს ვერ იკისრებს. ზანიხილეს აგრეთვე საჩივარი ქისელევის ქალისა, სახლის შენება დაეწყვა ჩემს ადგილზედაო, მეზობლებმა მიჩივლესო, რომ ვითომც იმათ გზას უკვრავდე (ქალიუჩი ბალკაში) და უპრავამაც მუშაობა შემიჩერაო.

ბარდაწყვიტეს: ხმოსნებს თ. ხოჯამინასოვს და სპიროვსა და არხიტექტორს მიენდოს ამ ადგილის დახედვა და თავის აზრი რჩევას მოახსენონ.

ქარგა ხანგრძლივი ლაპარაკი ჩამოვარდა კ-ნა ეკატ. ბებუთოვის საჩივარზედ, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: საქონლის დაკვლის ხარჯის ამკრებ მოიჯარადრეს ლევშინს კ-ნა ბებუთოვისას და უმიკაშვილის ქვრივის მიმულები ჰქონოდა გირაოთ წარდგენილი უპრავაში. მაგრამ რადგანაც ლევშინმა ვერ შეასრულა თავის კანტრაქტის პირობა, რჩევამ გადაწყვიტა შარშან, რომ ქალაქმა კ-ნა ბებუთოვის მამულიდამ ამოიგოს, რაც ლევშინმა დაკლოვო; უმიკაშვილის ქვრივს კი ეპატიოსო. ამ გარდაწყვეტილებაზე კ-ნა ბებუთოვისამ შემოიტანა რჩევაში საჩივარი, რომ ეს უსამართლობა არისო, ერთს აპატიებთ, მეორეს არაო; 1872 წლიდამ ჩემი ზალოგი დაჭერილია და მუდამ წელს 500 მან. ზარალი მაქვსო, ქალაქს ლევშინისაგან სარგებლობის მეტი ზარალი არ უნახავსო და სხვ. ამას დაერთო ქალაქის საქმეების პრისუსტვიის გაუქმება რჩევის გარდაწყვეტილებისა, რადგან იმ სხდომაზე მხოლოთ 23 ხმოსანს (დაარა 24-ს) გარდაუწყვეტია ეს საქმეო.

რჩევამ ხელ-მეორედ გასინჯა ეს საქმე და კენჭის-ყრით გარდაწყვიტა, რომ ლევშანის იჯარაში წარმოდგენილი გირაოები ორივე დაუბრუნდეს: კ-ნა ბებუთოვისასაც და უმიკაშვილის ქვრივსაც და ორივეს ეპატიოს.

შემდეგ რჩევა შეუდგა სხვა-და-სხვა კომისიების წევრთა კენჭის-ყრას.

ქალაქის სასწავლებელთა კომიტეტის წევრად (ეპერკიევის მაგიერად) ამოირჩიეს ხმოს. მ. ი. სპაროვი.

ბამსესხებელ კასსების რევიზორებად: ქუსიკოვი, ზურაბოვი და შახზინოვი და მაჭრობის დეპუტატიის წევრებად ექვსი კაცი.

* * *

ბაზეთს „კავკისიის ჟურიერში“ დაბეჭდილია ბათუმიდამ მიღებულ კორრესპონდენცია, რომლიდამაც შემდეგი ადგილები მოგვყავს:

„მუდამ დღე ბათუმში დიდ-ძალი გადასასხდომელი სალხი მოდის. მეჩითებში იმდენი სალხი მოგროვდა და მეჩითების გარეშემო ისეთი სიბინძურეა ამათგან, რომ აქაურ ადმინისტრაციას ავათმყოფობის გაჩენის ეშინიან; ამის გამო ბათუმის ღუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ სანამ მუსთარებს (მამასხლისებს) არ შეკატუობინეთ, რომ ბათუმში ოსმალოს გემები მოვიდენო და ვისაც ჰსურს, შეუძლიან მხოლოთ მაშინ ჩამოვიდნენ ბათუმშიო.

„მაგრამ ამ განკარგულებას ეურადღებას არ აქცევენ და მუდამ დღე ფიდუგებით მოდიან. ამ დღეებში კინტრიშიდამ და საზოგადოთ ქობულეთიდამ მოსული დიდ-ძალი ხალხი გაემგზავრა ოსმალოს გემით; ამ მოკლე ხანში კიდევ მოელიან აგრეთვე ოსმალოს გემსა და ბეგრიც მაშინ ემზადება გადასვლას. ნამდვილად ამბობენ, რომ ხინოელების ექვსი სოფელი სულ დაცარიელებული არის ამ-ჟამათო“.

დასასრულ კორრესპონდენტი ამ სიტყვებით ათავებს თავის წერილს:

„1879 და 1880 წ. მართებლობამ დაურიგა ამ (ქობულეთის) მაზრის სალხს სესხად 23,000 მან. და 14,000 ფუთი სიმინდი. ნეტავი როგორ შეუძლია ახლა მთავრობას ამ სესხის ამოგება“?

ჯეშმარიტად სულ გულ-გაქვავებული და უგრძნობარი უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც ამ საცოდავ, დამშეულ ხალხის გადასახლების უკიდურეს უბედურების დროს, ის აგონდებოდეს-რომ როგორ უნდა ამოიგოს მთავრობამ სამოწყალოთ დარიგებული რამდენიმე ათასი მანეთი თუული და რამდენიმე ათასი ფუთი სიმინდი...

* * *

მთებიდამ კიდევ ცუდი ამინდების ამბავი მოდის, გზები შეკრულიაო. ამის გამო ეს მეოთხე დღეა, რაც ჩვენ არც რუსეთისა და არც სამზღვარ-გარეთის ფოჩტა არ მოგვდის. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ამისთანა დროს რუსეთის ფოჩტასა ვართ ჩვენ მოკლებული...

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენს გაზეთში ბევრჯელ იყო ნათქვამი ადვოკატების მოქმედებაზე, ბევრი იმათი უწესო

მოქმედება იყო გამოაშკარებული და ბევრიც იმათი უპირისწყლო საქციელი საზოგადოების ყურამდის მიყვანილი. ამისათვის ვიშიშვი-კი, რომ იქნება ამ ჩემმა დამატებამ ბეზარს მოიყვანოს თქვენი გაზეთის მკითხველები და შეიძლება თქვენც, ბ. რედაქტორო. ᲧᲝᲕᲔᲚ შემთხვევაში, გთხოვთ ეს ჩემი ნამდვილი ამბავი დაუმატოთ იმ დასტა წერილებს, რომელშიდაც იყო ხოლმე მოხსენებული იმათი მოქმედება.

მე მქონდა საქმე ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲬᲚᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ, სისხლის სამართლის კი არა, სამოქალაქო.

ᲙᲐᲠᲒᲐᲗ მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ადვოკატებს ისე აქვთ საქმეები გაჩარხული და ისეთი ბადეები აქვთ გაბმული, მომჩივნების ჩასათრევად, რომ დამტკიცებული ვექსილიც რო გქონდეს, თუ ადვაკატთან არ მიდი და, ნახევარი მაინც არის, არ მიეცი, დარწმუნებული უნდა იყო, რომ თავის დღეში ვერ ამოიგებ.

მეც, როგორც მცოდნე ადვოკატების მინქანებისა, მივიქეცი ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გამოჩენილ ადვოკატთან ბ. მ. ᲫᲘᲥᲝᲫᲔᲡᲗᲐᲜ, თუმც, ვიმეორებ, უბრალო საქმე კი იყო. ᲘᲡᲘᲪ კარგათ მოგეხსენებათ, ადვოკატთან რომ მიდიხარ, ფული ხელში უნდა გეჭიროს, ისე ლაპარაკის ღირსს არ გაგხდის; მეც ჯერ ორმოცი მანეთი წინ-და-წინ სტოლზე დამათვლევინა ხსენებულმა ადვოკატმა და მემრე გამიმართა ბაასი საქმის თაობაზე. ᲘᲡᲔᲪ, რასაკვირველია, იცით, ფულს რა გავლენა აქვს ადვოკატებზე, მერე კიდე თუ თვალწინ უწყვია: მაშინ მოუფიქრებელია, რომ მოჩჩივანმა საქმე წაგოს! მე სად შემიძლია გავიმეორო ის მეტყველება და ის ოსტატური სიტყვის კამათლობა, როგორსაც ისინი ხმარობენ ამ დროს თავიანთი მსხვერპლის დასათადბირებლად.

სრულად დარწმუნებული ჩემის ადვაკატის მანქინებაზე (ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, რომ ჩვენში იმათ პატიოსნებას და სინიდისით მოქმედებას არავინ არ უჯერის, საქმეში მანქანებითი მძლავრობა კი ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲯᲔᲠᲐ), გამოვემგზავრე ბინისაკან.

ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ ჩემი მდგომარეობა, როდესაც დამიბარეს სასამართლოში ჩემი საქმის გარჩევის დროს, წინ-და-წინ ბინაზე მიველი, მოვიგონე, რომ ზასედანიაში უნდა მოვიდეს და კიდევაც დამპირდა მოსვლა. მაგრამ შენი მტერი მეტი ნუ მოსულა, იმას იქ ცხვირიც არ შამოეყოს... ᲓᲐᲔᲠᲩᲘ ისრე უპატრონო.

მე თვითონ, როგორც იყო, მოერიგდი ჩემს მოპირდაპირესთან და საქმე მშვიდობიანათ გავათავე.

რა კი ჩემს ვექილს არაფერი ჯაფა არ მიულია ჩემს საქმეში, მეც კაცი გაუგზავნე, რომ ჩემი ფული უკანვე დაებრუნებია, მით უმეტეს, რომ ფულის მიღების ბარათი ხელში მქონდა. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ რა პასუხი მომცა:

„რასაც ჩვენ ფულს ვიღებთ, უკანვე რო დაუბრუნოთ, ხომ მშიერი ამოვწყდითო“!

ᲐᲮᲚᲐ თქვენ მიბრძანეთ, ბ. რედაქტორო; გასამტყუნარი ვართ, რომ ჩვენისთანა უმეცარმა გაუნათლებელმა კაცმა ბოროტ-მოქმედება ჩავიდინოთ? რათ გაგვემტყუნება, რომ კიდეც ვიქურდოთ, წავართვათ ძალით ერთი მეორეს, ძმობაში დანდობა აღარ გვქონდეს და ხანჯლით ერთი მეორეს მოსაკვლავათ ვზდევდეთ? ᲗᲣ კი ჩვენი ახალ-გაზდობა, მოწინავე განათლებულები, ხელში განათლების ბაირაღის მემქონენი ამისთანა უმზგავსობას ჩადიან, ჩვენ რაღა გვეთქმის? ᲐᲠᲐ თქვენი ჭირიმე, ჩვენ თუ გვატყუნებ იმაში, თუ რომ ეხლა ჩვენ ერთმანეთის მოსისხლე მტრები ვართ და ჩვენი საქმე უკულმართათ მიდის, მიზეზი ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ დაგვედება, ამიტომ რომ ჩვენს მოწინავეებს ჯურღმულში მივყავართ.

Გ. ᲒᲐᲛᲡᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

P. S. ᲘᲡᲔᲪ უნდა მოგახსენოთ; ერთად ამისთან საჩივარი შემაქვს ბ. მ. ᲫᲘᲥᲝᲫᲔᲖᲔ, რომ ფული უკანვე დამიბრუნოს; კარგი რომ ფულის მიღების ბარათი ხელში მიჭირავს.

Ბ. Ბ.

28-Ს თებერვალს; ს. ნოსირი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

სოფლთა ნერსესის სემინარიის პოპეხიტლების სოფეტში, ამ მარტის თვის 18 სა ადამიზედ 8 საათზედ არის დანიშნული ტორგი (უპერეტორშეოთ) იჯარით მისცემათ იგივე სიმინარიის მამული, ერთი დუქანი თავის სარდაფით (შემწეული მიტვალებული გრიგორ ბერგიდოვისაგან,) რომელიც იპოვება შუა ბაზარში: მსურველს ადგილის იმ მამულისა შეუძლიან წაკითხვა პირობისა (КОНДИЦІЯ) იმავე სემინარიის კანცელარიაში, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირასა და ᲮᲣᲛᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲘᲡ გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ შუადღისა. (3—1)

ᲓᲐᲡᲧᲘᲓᲕᲐ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ:

ᲡᲐᲮᲐᲛᲗᲠᲝ ᲞᲐᲚᲢᲝᲔᲑᲘ 12 მანეთიდამ; ᲤᲣᲭᲐᲘᲙᲔᲑᲘ 2 მან. 50 კ.; ᲭᲣᲓᲔᲑᲘ 1 მანეთიდამ., ᲗᲝᲜᲓᲚᲝᲡᲔᲑᲘ 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიც ᲣᲙᲚᲔᲑᲐᲜ 2 მ. 50 კ. ღირს, ისეიდება 1 მან. 80 კ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, არწრუნის გალერეაში. (20—4).

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘ Ი. Ი. ᲜᲐᲢᲠᲝᲚᲔᲕᲘ აცხადებს, რომ მუშაობა ექმნება თავის კანტორაში, ქ. ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, დილის რვა საათიდგან ორ საათამდის შუადღის შემდეგ:

აქვე შეუძლიანთ მსურველთ მიიღონ დარიგება და შეადგენინონ ყოველ გვარი არზები სადავო საქმეებსა ზედა, ᲓᲐᲠᲘᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ. (3—2)

ᲢᲝᲚᲚᲔᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

25 თებერვლიდამ 10 მარტამდე იქნება ᲒᲐᲡᲧᲘᲓᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ საქონლისა იაფ ფასებით. (5—4)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ᲭᲣᲠᲭᲚᲔᲑᲘᲡᲐ, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბნიკი ზეთისა) და სხვ. საგანგებო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კაპშ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ᲩᲐᲒᲜᲐᲡ ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲑᲘ. (100—35)

ᲜᲐᲤᲘᲪᲘ ᲕᲔᲥᲘᲚᲘ (სტრიაპჩი)

Პ. Ბ. ᲚᲔᲒᲔᲓᲘᲜᲡᲙᲘ

ᲩᲐᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ საქმის წარმოებასა თბილისში: ოდქის სასამართლოში და ᲑᲐᲚᲐᲢᲨᲘ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲑᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, თამამშოვის სასლები, მებელის მაღაზიის ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ. მიიღებს 5—7 საათამდის ნაშუადღევს. (3—3)

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲥᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ

ᲤᲝᲚᲜᲝᲡᲔᲑᲘ, კლიტეები, კალმები, ქალალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲘᲥᲕᲔ: პალტო 12 მან — დამ, შარვლები 4 მან — დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ᲥᲘᲐᲮᲢᲘᲡ ᲩᲐᲘ პირ-და-პირ მოსაველის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ. — 2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქალალდოთ. ᲔᲠᲗᲘ ვაგონი მურაბები 85 კ. (20—6)

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲓ უფრო ბევრი საქონელი კავკაზიის ᲥᲣᲗᲐᲗ ᲛᲮᲠᲔᲨᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘᲐ, არწრუნის გალერეაში: ღირს სასახსავად.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ საზამთრო მოსასურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფანდოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 2Ს—16

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: ᲯᲝᲜᲒᲝ-ᲩᲐᲘ 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.' მშვენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალალდოთ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ რევოლვერები 4 მ. — 40 მანეთამდინ და თოფები — 20 — 200 მანეთამდინ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. საგანგებო ბარნსის უნაგრების გასასყიდლათ, ᲯᲝᲜᲡᲘᲡ კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს ᲞᲐᲠᲘᲟᲘᲡ მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ᲯᲣᲯᲠᲔᲑᲘ მოიგებენ, თუ იყიდიან ᲑᲚᲝᲛᲗ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. მთელი კოსტიუმი 15 მ. ᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—35

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ᲥᲘᲐᲮᲢᲘᲡ და ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე-ᲭᲘᲥᲘᲑᲘᲡ, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ᲩᲣᲚᲥᲔᲑᲘᲡ, ᲙᲐᲠᲐᲜᲓᲐᲨᲔᲑᲘᲡ, რკინის კალმების და სხვ... (100—46)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ᲨᲐᲛᲐᲓᲐ თმების გასაშაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ᲩᲣᲚᲓᲔᲢᲘᲡ საპონი, დუხები და სხვ. (150—40)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲒᲕᲐᲠᲘ ᲘᲣᲯᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲓᲜᲝᲑᲐᲓ — წმ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—24)

ᲗᲔᲡᲚᲔᲑᲘ

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ

მიღებულია თესლების დეპოში ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, ᲑᲐᲚᲐᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ, № 11, ᲚᲐᲠᲨᲔᲡ მაღაზიაში.

ᲐᲥᲕᲔ იშოვება კატალოღები თესლებისა. (10—6)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—16)

Дозволено цензурою. Тифлисъ 7 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. ᲑᲐᲛᲝᲛᲪ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. რედაქტორები: ᲘᲐᲙ. ᲭᲐᲭᲐᲕᲐᲫᲔ და Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.